



საზოგადოება და ბანკები  
SOCIETY AND BANKS

# რესტრუქტურისგაცდია



[www.sab.ge](http://www.sab.ge)

## რესტრუქტურირება

რესტრუქტურირება ბანკის მომხმარებლის სესხის მომსახურების (მომსახურება გულისხმობს ვალის როგორც ძირითადი თანხის ასევე პროცენტის დაფარვასაც) პირობების ცვლილებაა, რომელიც მისი ისეთი სახით გარდაქმნისკენ არის მიმართული, რომ მომხმარებელმა ვალის მომსახურება მარტივად შეძლოს. საქართველოში რესტრუქტურირების ყველაზე გავრცელებული ფორმა, კლიენტის ყველა ვალდებულების გაერთიანება და მისი უფრო მეტ ვადაში გადანაწილებაა. თუმცა რესტრუქტურირება არსებული სესხის მომსახურების პირობების ნებისმიერ სახეცვლილებას შეგვიძლია დავარქვათ. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რესტრუქტურირება თითოეული ბანკის კეთილი ნებაა და მას უფლება აქვს გაუკეთოს ან არ გაუკეთოს რესტრუქტურირება ამა თუ იმ მომხმარებელს, თუმცა როგორც ნებისმიერ სხვა საბანკო პროდუქტს, რესტრუქტურირებასაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები“ ამ თემით დაინტერესდა და საქართველოში 5 ყველაზე მსხვილი კომერციული ბანკის რესტრუქტურირების პირობები გადაამოწმა:

**1.** საქართველოს ბანკი: „საქართველოს ბანკი“ ერთ-ერთი პირველი ბანკია, რომელმაც რესტრუქტურირების პირობები შეიმუშავა და შემდეგ მომხმარებელს შესთავაზა. ამ ბანკის პირობები კი შემდეგია:

ცხრილი 1.

სესხის ვადა	3 -120 თვე
სესხის %	ყველა ვალდებულების საშუალო შენონილი
გაცემის საკომისიო	სესხის თანხის 0.5 %
წინსწრების საკომისიო	0%
გადასაფარი ვალდებულებების წინსწრების საკომისიო	0%
ჩამოსაწერი ჯარიმების რაოდენობა	50-90%
უმრუნველყოფა	შეთანხმებისამებრ

წყარო: საქართველოს ბანკი; bog.ge

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ პირობების ცვლილებაც მომხმარებლის ფინანსურ მდგომარეობაზე და მოკიდებული. როგორც ვხედავთ ჩამოსაწერი ჯარიმების რაოდენობა 50%-90% ფარგლებში მერყეობს, ეს კი რესტრუქტურირების შედეგად წარმოდგენილ უმრუნველყოფაზე დამოკიდებული: თავდებობა - 50%; ავტომატურად - 70%; უძრავი ქონება - 90%; თუმცა შეთანხმებით ჯარიმების 100%-ით ჩამოწერაც არის შესაძლებელი. როგორც ცხრილიდან ჩანს სესხის გაცემის საკომისიო 0,5%-ია.



## 2. ლიბერთი ბანკი: „ლიბერთი ბანკის“ რესტრუქტურის პირობები:

### ცხრილი 2.

სესხის ვადა	3 -120 თვე
სესხის %	ყველა ვაკლდებულებას შორის ყველაზე მაქსიმალური
გაცემის საკომისიო	სესხის თანხის 0 %
წინსწრების საკომისიო	0%
გადასათარი ვალდებულებების წინსწრების საკომისიო	0%
ჩამოსაწერი ჯარიმების რაოდენობა	ინდივიდუალურად
უმრუნველყოფა	შეთანხმებისამებრ

წყარო: ლიბერთი ბანკი; libertybank.ge

„ლიბერთი ბანკის“ შემთხვევაშიც რესტრუქტურის სესხის პროცენტი დამოკიდებულია გადასათარი ვალდებულებების პროცენტზე და ბანკი მათ შორის ყველაზე მაღალ საპროცენტო განაკვეთს აწესებს. რაც შეეხება ჯარიმების ჩამონერას, ის სრულად ბანკის თანამშრომელზეა დამოკიდებული და არა წარმოდგენილ უმრუნველყოფაზე (თუ უძრავ ქონებას წარმოვადგენთ, მაშინ შესაძლებელია ჯარიმის სრულად ჩამონერა). მაგალითად, თავდებობის წარმოდგენის შემთხვევაში, ბანკმა ჯარიმები შესაძლოა საერთოდ არ გვაპატიოს.

## 3. თი ბი სი ბანკი: „თი ბი სი ბანკი“ ასევე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მოხმარებლებს რესტრუქტურის შესთავაზა, მისი პირობები ასე გამოიყურება:

### ცხრილი 3.

სესხის ვადა	3 - 48 თვე
სესხის %	საშუალო შეწონილი 16-36 %
გაცემის საკომისიო	სესხის თანხის 2%
წინსწრების საკომისიო	2%
გადასათარი ვალდებულებების წინსწრების საკომისიო	2%
ჩამოსაწერი ჯარიმების რაოდენობა	100 - 500 ლარი
უმრუნველყოფა	შეთანხმებისამებრ

წყარო: თიბისი ბანკი; tbcbank. ge

„თი ბი სი ბანკის“ რესტრუქტურის პირობების შესაბამისად სესხის ვადა სტანდარტულად მაქსიმუმ 48 თვით განისაზღვრება, ანუ თუ მოხმარებელმა სამომხმარებლო სესხზე უძრავი



ქონება წარმოადგინა, მას 48 თვეზე მეტით მაინც არ გაუხანგრძლივებენ ვადას. 120 თვეზე მხოლოდ იპოთეკური სესხის რესტრუქტურირებაა შესაძლებელი. ამის გარდა ჩამოსაწერი ჯარიმების რაოდენობა 100-500 ლარის ფარგლებში მერყეობს. ბანკი გარკვეულ საკომისიოებსაც აწესებს.

**4.** პრივატბანკი საქართველო: „პრივატბანკის“ რესტრუქტურირების პირობები ყველაზე გამორჩეულია. იმისთვის, რომ მომხმარებლის სესხის რესტრუქტურირება გააკეთო აუცილებელია, ვალდებულება მინიმუმ 180 დღით იყოს ვადაგადაცილებული. დაწვრილებითი პირობები კი ასე გამოიყურება:

ცხრილი 4.

სესხის ვადა	6 - 36 თვე
სესხის %	0.01 – 18%
გაცემის საკომისიო	0%
წინსწრების საკომისიო	0%
გადასაფარი ვალდებულებების წინსწრების საკომისიო	0%
ჩამოსაწერი ჯარიმების რაოდენობა	მაქსიმუმ 90%
უზრუნველყოფა	შეთანხმებისამებრ

წყარო: პრივატბანკი. privatbank.ge

აღსანიშნავია, რომ „პრივატბანკის“ პირობები საკმაოდ არაერთგვაროვანია. მაგალითად, მიუხედავად წარმოდგენილი უზრუნველყოფისა, სესხის მაქსიმალური ვადა 36 თვით განისაზღვრება. ასევე საპროცენტო განაკვეთის დადგენა სესხის ვადების მიხედვით ხდება: 6 თვე - 0.01%; 6-12 თვემდე - 10 %; 12-36 თვემდე-18%; ამაზე ზემოთ სესხის პროცენტი აღარ იწევს; რაც შეეხება ჯარიმებს, ჯარიმების ჩამონერა მაქსიმუმ 90%-ით ხდება, ეს კი ინდივიდუალურად განისაზღვრება. აღსანიშნავი ის, რომ „პრივატბანკის“ რესტრუქტურირების პირობებში არც ერთი სახის საკომისიო არ შეინიშნება.

**5.** ბანკი რესპუბლიკა: როგორც აღმოჩნდა, „ბანკ რესპუბლიკას“ რესტრუქტურირების ყველაზე ინდივიდუალური პირობები აქვს.

ცხრილი 5.

სესხის ვადა	3-120 თვე
სესხის %	მაქს 33%
გაცემის საკომისიო	2%
წინსწრების საკომისიო	ინდივიდუალურად



გადასაფარი ვალდებულებების წინსწრების საკომისიო	ინდივიდუალურად
ჩამოსაწერი ჯარიმების რაოდენობა	ინდივიდუალურად
უზრუნველყოფა	შეთანხმებისამებრ

წყარო: რესპუბლიკა ბანკი; br.ge

ბანკ რესპუბლიკის რესტრუქტურირების პრობები შეიძლება ითქვას, რომ დადგენილი არ არის. შესაძლებელია, რომ ამ ბანკმა რესტრუქტურირებული სესხი სტანდარტული სამომხმარებლო სესხის პრობებში გასცეს, ყველა თანდართული საკომისიოს გათვალისწინებით. ეს მომხმარებლის ფინანსურ მდგომარეობაზე და არსებული სესხის პარამეტრებზე დამოკიდებული. რესტრუქტურირების ვადა ამ ბანკში სტანდარტულად მაქსიმალური - 36 თვით განისაზღვრება, ხოლო უძრავი ქონების წარმოდგენის შემთხვევაში ვადა მაქსიმუმ 84 თვემდე იზრდება. ასევე სესხის პროცენტი არსებული სესხის პარამეტრებზე დამოკიდებული და ის მაქსიმუმ - 36% შეიძლება იყოს, თუმცა ესეც ბანკის გადასაწყვეტია. ამას გარდა ბანკში რესტრუქტურირების გაცემის საკომისიო 2%-ია, ხოლო ჯარიმები შეიძლება ჩამოაჭრან და შეიძლება არა.

## დასკვნა:

არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება და ბანკები“ 5 უმსხვილესი ბანკის პრობები გამოიკვლია. ცხრილებიდან ჩანს, რომ ბანკების უმრავლესობას რესტრუქტურირებული სესხის გაცემის საკომისიო აქვს. გამოდის რომ, მომხმარებელს სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საკომისიოს ხარჯზე დამატებით ეზრდება. ზედმეტად გადახდილი თანხის ოდენობა იზრდება ასევე სესხის ვადის გახანგრძლივების შემთხვევაშიც. ამას ემატება გაზრდილი საპროცენტო განაკვეთიც, რომლის ფორმირების ზუსტი მეთოდი და პრინციპი ხშირად გაურკვეველია. თუმცა რესტრუქტურირების შედეგად მომხმარებელი მაინც შედარებით იუმჯობესებს მდგომარეობას, რადგან მისი ყოველთვიური გადასახადი მცირდება და არ ემუქრება უძრავი ქონების ან სხვა უზრუნველყოფის რეალიზაცია. ასევე რამდენიმე საკრედიტო პროდუქტის გადახდის ნაცვლად, იხდის ერთ სესხს. რესტრუქტურირების გზით მომხმარებელი იუმჯობესებს საკრედიტო ისტორიასაც.

ხშირად ბანკები უარს ამბობენ რესტრუქტურირებაზე მანამ, სანამ სესხი არ არის პრობლემური. ამის რეალური მიზეზი არის ის, რომ რესტრუქტურირების დროს ბანკს უწევს დამატებითი ხარჯების გაწევა, რაც შემდეგში მდგომარეობს: ბანკები რესტრუქტურირების შემდეგ ვალდებულები არიან სესხი დაარეზერვონ 10%-ში (ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2000 წლის 29 დეკემბრის #350 ბრძანების „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი“-ს თანხმად), ხოლო თუ სესხი არ არის ვადაგადაცილებული 30 დღეზე მეტით - დაარეზერვებულია 2%-ში.





[www.sab.ge](http://www.sab.ge)